ინდ.მეწარმე „ზაქარია გოგებაშვილი“

ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები

თბილისი
2021 წ.

სარჩევი

		გვ.
	ტექნიკური დავალება	2
თავი I	შესავალი	3
თავი II	კლიმატური პირობები	3
თავი III	უბნის დახასიათება (მდებარეობა, გეომორფოლოგია, ტექტონიკა, საერთო გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგია)	4
თავი IV	სპეციალური ნაწილი ჩატარებული საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები	5
	დასკვნები და რეკომენდაციები	6

გრაფიკული დანართები

1	ტოპოგრაფიული გეგმა შურფბურღილებისა და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების დატანით (მასშტაბით 1:500)	8
2	შურფბურღილების ჭრილები	9-11
3	საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები: I-I^{I}; II-II^{I}; III-III^{I}	12-14

ტექნიკური დავალება

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. დამკვეთი: სს „პროკრედიტ ბანკი“;
2. ობიექტის დასახელება: საწყობი;
3. ობიექტის მდებარეობა: ქ. თბილისი, გაგრის ქუჩა №2;
4. შენობის სართულიანობა და სარდაფი: 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, უსარდაფო;
5. მოედნის საკადასტრო კოდი: 01.11.03.003.029;
6. დაპროექტების სტადია: მუშა პროექტი;
7. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: I;
8. საძირკვლის სავარაუდო ტიპი: წერტილოვანი ან შერეული;
9. საძირკვლის სავარაუდო ჩაღრმავება: საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის მონაცემების შესაბამისად.

საინჟინრო–გეოლოგიური გამოკვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად.

პროექტის მთავარი
კონსტრუქტორი:

ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე, 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I. შესავალი

სს „პროკრედიტ ბანკთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, ინდ. მეწარმე „ზაქარია გოგებაშვილის“ მიერ, 2021 წლის მარტის თვეში, 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის საწყობის მშენებლობისათვის განკუთვნილ მოედანზე ჩატარებული იქნა საინჟინრო–გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

- საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური პირობების შესწავლა;
- შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

უშუალოდ საკვლევ ტერიტორიაზე, ადრეულ წლებში საინჟინრო–გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები არ ჩატარებულა.

საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა ჩატარდა ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (შენობა-ნაგებობათა ფუძეები) და სახ.სტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია) მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით.

საპროექტო შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, გადმოცემული დამკვეთის მიერ.

მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, შენობის კონტურის ფარგლებში და მის მიმდებარედ მოხდა დეტალური დათვალიერება, განისაზღვრა მათი გეოდინამიკური მდგომარეობა, ხოლო მოედნის ლითოლოგიური აგებულების დადგენის მიზნით გაყვანილი იქნა 3 შურფი სიღრმით 2,5 მ-მდე, ხოლო შემდეგ მოხდა ჭაბურღილების დაბურღვა 4,0 მ–ის სიღრმემდე. სამთო–გამონამუშევრების საერთო სიღრმემ შეადგინა 12,0 გრძივი მეტრი.

სამთო–გამონამუშევრებიდან (შურფბურღილებიდან) აღებული იქნა 2 დარღვეული სტრუქტურის მსხვილნატეხოვანი გრუნტებიდან სინჯები, მათი გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით საველე პირობებში, გაცხავების მეთოდით.

ტერიტორიის ტოპო–გეგმა მასშტაბით 1:500 (შემსრულებელი გ. ფერაძე) გადმოცემული იქნა დამკვეთის მიერ, რის მიხედვითაც მოხდა სამთო–გამონამუშევრების გეგმურ–სიმაღლითი მიბმა.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ სამთო–გამონამუშევრები ამოვსებული იქნა ამონაყარი გრუნტებით.

თავი II. კლიმატური პირობები

კლიმატური პირობების მიხედვით უბანი მიეკუთვნება ქართლის ბარის ნოტიო ჰავის ზონას და ხასიათდება ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით.

უბნის კლიმატური მონაცემები დახასიათებულია დაპროექტების სახელმძღვანელოს „სამშენებლო კლიმატოლოგია“–ს მიხედვით.

უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12,4°C. წლის ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0,6°C. აბსოლუტური მინიმუმით -24°C.

ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა, საშუალო წლიური ტემპერატურით 24,2°C, აბსოლუტური მაქსიმუმით 40°C.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა °C

ცხრილი №1

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
0,6	2,2	5,9	11,4	16,8	20,7	24,1	24,2	19,5	13,8	7,4	2,5

მოსული ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 570 მმ, ხოლო ნალექების დღეღამური მაქსიმუმია 147 მმ. თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50 კპა. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი შეადგენს 14 დღეს.

შეფარდებითი სინოტივის საშუალო წლიური მაჩვენებელია 67%. წლის განმავლობაში გაბატონებულია ჩრდილო–დასავლეთის მიმართულების ქარები. დანარჩენი მიმართულების ქარები შედარებით დაბალია.

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე მ/წმ

ცხრილი №2

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
28	33	35	36	37

გრუნტის გაყინვის ნორმატიული სიღრმეებია:

- თიხოვანი და თიხნაროვანი გრუნტები: 0 სმ;
- მსხვილნატეხოვანი გრუნტები: 0 სმ.

თავი III. უბნის დახასიათება (მდებარეობა, გეომორფოლოგია, ტექტონიკა, საერთო გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგია)

გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ავჭალის ტერიტორიაზე, გაგრის ქ. №2-ში. მოედანს დასავლეთიდან საზღვრავს 2 ერთსართულიანი საწყობის შენობები, აღმოსავლეთიდან ჩაუყვება გაგრის ქუჩა, ხოლო დანარჩენი მხრიდან შემოსაზღვრულია ბეტონის კედლებით.

გეომორფოლოგიური პირობების მიხედვით უბანი განთავსებულია თბილისის ფართო ასიმეტრიული ქვაბულის, მდინარე მტკვრის ტერასირებული ხეობის მარცხენა ნაპირზე. რელიეფი ტექნოგენურია, მოედანი სწორია, აღინიშნება მცირე ქანობი ჩრდილო–აღმოსავლეთიდან სამხრეთ–დასავლეთის მიმართულებით. გამოკვლეული მოედნის კონტურში მიწის აბსოლუტური ნიშნულები მერყეობს 449,20-დან 449,50 მდე.

ტექტონიკური თვალსაზრისით უბანი მდებარეობს ორმოიანის სინკლინის სამხრეთი ფერდის ფარგლებში, რომელიც აგებულია ქვედა და შუა მიოცენის ასაკის (N_1^1; N_1^2) ნალექებით, ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით წარმოდგენილი ფენებით.

სამშენებლო მოედანზე აღნიშნული სახესხვაობები დაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიურ–პროლუვიური გენეზისის ნალექებით (apQ_{IV}) – მსხვილნატეხოვანი გრუნტით, თიხნარებითა და ტექნოგენური – ნაყარი გრუნტებით (tQ_{IV}).

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის ღრმა განლაგებით. საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის დროს გამოკვლეულ (4,0 მ) სიღრმემდე მათ გამოვლენას ადგილი არ ჰქონია.

თავი IV. სპეციალური ნაწილი

ჩატარებული საინჟინრო–გეოლოგიური კვლევის შედეგები

ჩატარებული სარეკოგნოსცირო მარშრუტების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ უბანზე და მის ირგვლივ საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა–განვითარების კვალი არ აღინიშნება, უაბნი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება, ხოლო საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ს.ნ. და წ. 1.02.07-87 დანართი 10–ის თანახმად იგი მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

როგორც სამთო–გამონამუშევრებიდან ჩანს მოედანზე წარმოდგენილია 3 ფენა:

ფენა №1 - ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით. ფენის სიმძლავრე 0,4-0,5 მ–ია.

ფენა №2 - თიხნარი, ღია ყავისფერი–მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%–მდე, ქვიშის ნარევით. ფენის სიმძლავრე 0,2-0,7 მ–ია.

ფენა №3 – მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი) გრუნტი წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა–ქვიშნარის შემავსებლით. ქვიშის მასა პროცენტულად ჭარბობს ქვიშნარს, ისინი სიღრმის მიხედვით იცვლებიან.

როგორც აღნიშნული იყო შესავალ ნაწილში ფენა №3-დან აღებული იქნა დარღვეული სტრუქტურის ორი ნიმუში მათი გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრისათვის. გამოცდის შედეგები მოცემულია ცხრილი №3-ში.

ცხრილი №3

შურფი №	ნიმუშის აღების სიღრმე, მ	ფრაქციის ზომა	>200	200-100	100-50	50-20	20-10	10-5	<2
1	1,6	პროცენტული რაოდენობა	2	3	20	25	14	21	15
2	2,0	პროცენტული რაოდენობა	2	2	21	23	16	21	15

ასევე საველე პირობებში განისაზღვრა გრუნტის სიმკვრივის მაჩვენებელი და შეადგინა ρ=1,97 გ/სმ^3.

ამრიგად ფენა №3 წარმოადგენს წვრილი და საშუალო ფრაქციის კენჭნაროვან გრუნტს ქვიშა–ქვიშნარის შემავსებლით.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ერთსართულიანი საწყობის მშენებლობისათვის განკუთვნილი მოედანი მდებარეობს ქ. თბილისში, გაგრის ქ. №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე.
2. გამოკვლეული ტერიტორია წარმოდგენილია მეოთხეული ასაკის ალუვიურ–პროლუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნარი) გრუნტით, თიხნარის შუაშრეებით, თიხნარითა და ტექნოგენური ნაყარი გრუნტებით.
3. უბნის გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, უბანზე არ აღინიშნება საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა–განვითარების კვალი, ხოლო საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულის თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო–კვლევები მშენებლობისათვის) მე–10 დანართის მიხედვით მოედანი მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.
4. საინჟინრო–გეოლოგიური ძიების პროცესში, გამოკვლეულ სიღრმემდე (4,0 მ) გრუნტის წყლის გამოვლენას ადგილი არ ჰქონია.
5. სამშენებლო თვისებების მიხედვით უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან გამოიყოფა ერთი საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი – ფენა №3 – ს.გ.ე. I.
   ჩვენი რეკომენდაციით შენობის საძირკვლის საგებად გამოყენებული იქნება ფენა №3 – კენჭნაროვანი გრუნტი ქვიშა–ქვიშნარის შემავსებლით. აღნიშნული ფენის ფუძე–საძირკვლის გაანგარიშებისათვის ფენა №3-ის საანგარიშო მახასიათებლები მოცემულია ცხრილ №4–ში.

ცხრილი №4

გრუნტის დახასიათება	სიმკვრივე ρ გ/სმ³	გრუნტების საანგარიშო მახასიათებლები			
		ხვედრითი შეჭიდულობა C კგძ/სმ²	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	დეფორმაციის მოდული E კგძ/სმ²	საანგარიშო წინაღობა Ro კგძ/სმ²
კენჭნარი	1,97	0,01	35	300	3,0

6. ქვაბულის ფერდოს დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ს პ.პ. 3,11; 3,12; 3,15 თანახმად ს.ნ. და წ. III-4-80 მე–9 თავისა.
7. ს.ნ. და წ. „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.09) მიხედვით რეგიონი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას, ამიტომ სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი.
8. მოედანზე ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნებიან:
   ფენა №1 - ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერითა და ხელით დამუშავებისას - III კატეგორიის გრუნტს, საშუალო სიმკვრივით ρ=1,9 გ/სმ³;
   ფენა №2 - ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – III კატეგორიის გრუნტს, ხოლო ბულდოზერით – II კატეგორიის გრუნტს, საშუალო სიმკვრივით ρ=1,8 გ/სმ³;
   ფენა №3 - სამივე სახეობის დამუშავებისას – III კატეგორიის გრუნტს, საშუალო სიმკვრივით ρ=1,97 გ/სმ³.

ინჟინერ-გეოლოგი ზ. გოგებაშვილი

01012002133

გრაფიკული დანართები

1 ტოპოგრაფიული გეგმა შურფბურღილებისა და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების დატანით (მასშტაბით 1:500)

2 შურფბურღილების ჭრილები

3 საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები: I-I^{I}; II-II^{I}; III-III^{I}

მოედნის ტოპოგრაფიული გეგმა შურფგურღილებისა და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების დატანით

მასშტაბი 1:500

ქალაქი თბილისი, ქუჩა გაგრა, №2 ს/კ
01.11.03.003.029 2568 კვ.მ.



პირობითი აღნიშვნები

შ.გ.№1 449.50
4.0

მარცხნივ: მრიცხველში - შურფგურღილის ნომერი
მნიშვნელში - შურფგურღილის სიღრმე მ

მარჯვნივ: მრიცხველში - შურფგურღილის პირის აბს. ნიშნული მ
მნიშვნელში - გრუნტის წყლის გამოვლენის დონე მ

I——I[I] საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზი

პირობითი აღნიშვნები

ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ღობე
შენობა	გაზონი	ბორდიური
არკა	სამეთვალყურეო ჭები	ბეტონი
ფარდული	ძეგლი	კედელი
კიბე	შადრევანი	საყრდენი კედელი
ფოთლოვანი ხე	ონკანი	ბილიკი
წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	გზის კონტური
ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	ფლატე
პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	წყლის კონტური

პროექცია UTM 38N
საკოორდინატო სისტემა WGS 84

შპს X-line
ტელ: +995 599-900 963

დირექტორი		ნ. მეგრელიძე
კომპ. უზრუნველყოფა		ნ. მეგრელიძე
შესრულდა		გ. ფერაძე
მისამართი		
	მასშტაბი 1:500	29.09.2020

ობიექტი: ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე, 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ი/მ "ზაქარია გოგებაშვილი"

შურფბურღილი №1

აბსოლუტური ნიშნული 449.50 მ

▽ წყლის გამოვლენა --- მ

▼ წყლის დამყარება --- მ

წყლის სინჯი --- მ

მონოლითი

დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის ფუძის სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ
1	tQ_{IV}	0.4	449.10	0.4			ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით	
2		0.6	448.90	0.2				
3	apQ_{IV}	2.5	447.00	1.9		1 2	თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით	◇ 1.6
2		3.0	446.50	0.5		3	თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით	
3		4.0	445.50	1.0		4	კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით	

ობიექტი: ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე, 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ი/მ "ზაქარია გოგებაშვილი"

შურფბურღილი №2

აბსოლუტური ნიშნული 449.20 მ

▽ წყლის გამოვლენა --- მ

▼ წყლის დამყარება --- მ

წყლის სინჯი --- მ

მონოლითი

◇ დაშლილი სტრუქტურა

№ ფენის	გეოლოგიური ინდექსი	ფენის ფუძის სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ
1	tQ_{IV}	0.5	448.70	0.5			ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით	
2		0.9	448.30	0.4		1	თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით	
3	apQ_{IV}	2.8	446.40	1.9		2	კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით	◇ 2.0
2		3.2	446.00	0.4		3	თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით	
3		4.0	445.20	0.8		4	კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით	

ობიექტი: ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე, 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ი/მ "ზაქარია გოგებაშვილი"

შურფბურღილი №3

აბსოლუტური ნიშნული 449.20 მ

▽ წყლის გამოვლენა --- მ

▼ წყლის დამყარება --- მ

⊖ წყლის სინჯი --- მ

▭ მონოლითი

◇ დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის ფუძის სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სინჯის ნომერი	გრუნტის აღწერა	ნიმუშის ალების ინტერვალი, მ
1	tQ_{IV}	0.5	448.70	0.5			ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით	
2		1.2	448.00	0.7		1	თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით	
3	apQ_{IV}	2.4	446.80	1.2		2	კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით	
2		2.8	446.40	0.4		3	თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით	
3		4.0	445.20	1.2		4	კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით	

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I^{I}

მასშტაბი: ვერტ. 1:100
ჰორ. 1:200



შურფბურღილი №№	№1		№3
აბსოლ. ნიშნული, მ	449.50		449.20
შურფბურღილის სიღრმე, მ	4.0		4.0
მანძილი შ.ბ.-ებს შორის, მ		20.0	

პირობითი აღნიშვნები

① ფენა №1 - ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით

② ფენა №2 - თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით

③ ფენა №3 - კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით

ი/მ "ზაქარია გოგებაშვილი"			
ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები			
საინჟინრო-გეოლგიური ჭრილი: I-I^{I}			
ინჟინერ-გეოლოგი		ზ. გოგებაშვილი	ნახ. №1
			2021 წ.

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II^{I}

მასშტაბი: ვერტ. 1:100
ჰორ. 1:200



შურფბურღილი №№	№1	№2
აბსოლ. ნიშნული, მ	449.50	449.20
შურფბურღილის სიღრმე, მ	4.0	4.0
მანძილი შ.ბ.-ებს შორის, მ	15.0	

პირობითი აღნიშვნები



ფენა №1 - ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით



ფენა №2 - თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით



ფენა №3 - კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით

ი/მ "ზაქარია გოგებაშვილი"			
ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები			
საინჟინრო-გეოლგიური ჭრილი: II-II^{I}			
ინჟინერ-გეოლოგი		ზ. გოგებაშვილი	ნახ. №2
			2021 წ.

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი III-III^{I}

მასშტაბი: ვერტ. 1:100
ჰორ. 1:200



შურფბურღილი №№	№2		№3
აბსოლ. ნიშნული, მ	449.20		449.20
შურფბურღილის სიღრმე, მ	4.0		4.0
მანძილი შ.ბ.-ებს შორის, მ		10.0	

პირობითი აღნიშვნები



ფენა №1 - ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ხრეშისა და თიხნარის ნარევით



ფენა №2 - თიხნარი, ღია ყავისფერი-მოყვითალო, კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, ქვიშის ნარევით



ფენა №3 - კენჭნარი, წვრილი და საშუალო ფრაქციის, ქვიშა-ქვიშნარის შემავსებლით

ი/მ "ზაქარია გოგებაშვილი"			
ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები			
საინჟინრო-გეოლგიური ჭრილი: III-III^{I}			
ინჟინერ-გეოლოგი		ზ. გოგებაშვილი	ნახ. №3
			2021 წ.

საექსპერტო შეფასება

***ანგარიშზე** „ქ.თბილისში, გაგრის ქ. №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე (ს/კ 01.11.03.003.029) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები“.*

სს „პროკრედიტ ბანკი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2021 წლის 26 მატს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გაგრის ქ. №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე *(ს/კ 01.11.03.003.029)* ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, გაგრის ქ. №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე *(ს/კ 01.11.03.003.029)* ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ი.მ. „ზაქარია გოგებაშვილის“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ზ. გოგებაშვილი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 3 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 3 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, უსარდაფო შენობა. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 3 შურფი, თითოეული 2.5 მ. ხოლო შემდეგ მოხდა ჭაბურღილების დაბურღვა 4.0 მ-ის სიღრმემდე. საერთო სიგრძე შეადგენს 12.0 მეტრს. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, კენჭების 20-25%-მდე ჩანართებით;
3. ფენა 3 – კენჭნარი, ქვიშა-ქვიშნარის 40%-მდე შემცველობით.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. მოედნის ზედა ფენა ნაყარი გრუნტია. იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის თიხნარებია, რომლებიც 20-25%-მდე შეიცავენ წვრილი ზომის კენჭნარის ქვარგვალებს. მომდევნო ფენა 2.1-2.5 მ სიმძლავრით, კენჭნარებით არის წარმოდგენილი. შემავსებელი ქვიშა-ქვიშნარია 40%-მდე. ფენა მშრალია. როგორც ავტორი აღნიშნავს ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება არ არის მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გაგრის ქ. №2-ში, პროკრედიტ ბანკის ტერიტორიაზე 1 სართულიანი, ხის კონსტრუქციის, საწყობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე *(ს/კ 01.11.03.003.029)* ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჯობხონელიძე/

CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, ამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიულია "საქართველოს ლიოსისებული გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებული გრუნტები " (1988წ) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო "გეოლოგიურ პირობები გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და "საინჟინრო ნაგებობები" (2012წ.) ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ. "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგად; ინგლისური-ლექსიკონის დახმარებით.

დიპლომი

Я № 168160

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზედ, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 26 ноября 1965 г (протокол № 18)
Сохиашвили Гурам Ильичу
ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

Москва 1973 г

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 0102[illegible]010599

სახელი ბიჭა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——

№ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ——

მოწმობა გაცემულია თბილისის [illegible]

გაცემის თარიღი 29.12.2000 წ.

მოქმედების ვადა ——

ბ.ა. განყოფილების უფროსის ხელმოწერა

სს „პროკრედიტბანკის“ სასაწყობე
(საარქივო) ფართის პროექტი

კონსტრუქციული ნაწილი

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში გაბრის ქუჩა №3- ში მდებაარე სს „პროკრედიტ ბანკი“-ის სასაწყობო შენობის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია არქიტექტრული ნაწილის მიხედვით.

არქიტექტურული გადაწყვეტილების მიხედვით სასაწყობო შენობის ჩონჩხედის ამგები კონსტრუქციები შესრულებულია ხის მასალის გამოყენებით. საძირკვლების ფუძე ქამირად მიღებულია თიხნარი (განთავსებულია მეორე შრეზე , იხ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალები), ჩაღმავება ბრუნტის ზედაპირიდან 0.6 მ.. საძირკველი შესრულებულია ბეტონისაგან კვასით B20. გაანგარიშებაში ხის მასალის საანგარიშო წინაღობად მიღებულია R=100 კგ/სმ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა S=50 კგ/მ^2 (ან 01.05-08, ცხრილი-17) , ქარის ნორმატიული დატვირთვა w=85 კგ/მ^2 (ან 01.05-08, ცხრილი-18).

სასაწყობო შენობის სვეტებად გამოყენებულია ხის ძელაები bxh=150.x150 მმ, bxh=100x150 მმ და bxh=100x200 მმ. გადახურვის კონსტრუქციად გამოყენებულია შედგენილი ხის კოჭი, რომელიც შეგენილია ხის ძელაკების bxh=100x200 მმ და მაკავშირებელი ცვლადი სიმაღლის ძელაკებით. შედგენილი კოჭის სარტყლები ერთმანეთთან დაკავშირებულია ფურცლოვანი ფოლადით (t=6 მმ) , მაკავშირებელი საკვანძო ელემენტია ფოლადის ჭანჭიკი M10. შედგენილი კოჭის სარტყლების ცალკეული ელემენტების ზომები (გაერთმლიანებისათვის საჭირო) დადგენილი იქნას დეტალური პროექტის შედგენის დროს (სამშენებლო ორგანიზაციის მიერ). იატაკის, ჭერისა და სახურავის კოჭებად გამოყენებულია ხის ძელაები bxh=100x200 მმ, პერიმეტრზე განთავსებულ სვეტებზე (ფასადების კედლები) შეიფიცრება (t15მმ) პანელებით, როგორც გარედან ასევე შიგნიდან, ასევე ჭერის კოჭები ანალოგიურად შეიფიცრება. (▼3.2 მ). კედლებში განთავსებულია დამათბუნებელი. ჭერის დამათბუნებლად გამოყენებულია მინაბამბა (2x100).

▼±0.00 მ. ხის კოჭების მოწყობის შემდეგ ისინი დამაგრებული იქნას საძირკვლებიდან გამონაშვერილ ჭანგებით (Ø8, იხ. რეექტის კონსტრუქციული ნაწილი).

შენობის ჩონჩხედის ამგებ ელემენტების დამზადებამდე ნამზადი გაუღენთილი იქნას ანტისეპტიკით. მონტაჟამდე ცალკეული ელემენტები დაიფაროს ანტისახანძრო სითხეებით ხოლო მონტაჟის შემდეგ ქვედა ელემენტები და კვანძები დაფარული იქნას ანტისახანძრო საღებავებით საძართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად.

ნახაზების ჩამონათვალი		
№ რიგზე	ნახაზის დასახელება	ნახაზის აღნიშვნა
1	2	3
1	განმარტებითი ბარათი, ნახაზების ჩამონათვალი	კ-1
2	მასალის ჯამური სპეციფიკაცია	კ-1ა
3	რკბ. საძირკვლის გეგმა,	კ-2
4	ხის იატაკის და ხის სვეტების განლაგების გეგმა +0.00 ნიშნულზე	კ-3
5	ლს-1-ის კვეთები 1-1, 1ა-1ა, 2-2, 3-3, 4-4 ა-ა	კ-4
6	საკონტაქტო დეტალები; ჩასატანებელი დეტალი-1; კვეთები და მასალის სპეციფიკაცია	კ-5
7	ხის მზიდი კოჭებისა და ნივნივების განლაგების გეგმა +3.40 ნიშნულზე	კ-6
8	ხის მზიდი კოჭებისა და სახურავის ნივნივების განლაგების გეგმა	კ-7
9	კვეთები 1-1,ა-ა	კ-8
10	კვეთი 2-2	კ-9
11	კვეთი 3-3	კ-10
12	კვეთები 4-4	კ-11
13	კვანძები და მასალის სპეციფიკაცია	კ-12

პროექტის სახელწოდება			
სს „პროკრედიტბანკის“ სასაწყობე (საარძივო) შართის პროექტი			
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
მთ. არქიტექტორი	ნ. ბერიძე		
მთ. კონსტრუქტორი	ბ. სურგულაძე		
შემსრულა	ლ.კვირიკაშვილი		
შემოწმა	ბ. სურგულაძე		
მასშტაბი	სხვადასხვა	განმარტებითი ბარათი, ნახაზების სია	
თარიღი			
სტადია		ფურცელი	ფურცლები
პროექტი		კ-1	13

მასალის ჯამური სპეციფიკაცია

№ რიგზე	ელემენტის დასახელება	ნახ. №	რაოდ. (ც)	ერთ ელემენტზე			ყველა ელემენტზე			ყველა ელემენტზე (სახეობაზე)			
				8A-I	16A-III	ბეტ.B-25(m3)	8A-I	16A-III	ბეტ.B-25(m3)	ფურცელი t=6	ფურცელი t=8	(კუთხედი) 100X7	ელექტროდი
1	რ/ბ ლენტური საძირკველი-1	კ-5	1	24.5		16.0	24.5	0.0	16.0				
2	წერტილოვანი საძირკველი-1	კ-5	1	16.0		7.5	16.0	0.0	7.5				
3	წერტილოვანი საძირკველი-2	კ-5	1			1.3	0.0	0.0	1.3				
4	ჩასატანებელი დეტალი, ჩდ-1	კ-5	42		3.7		0.0	155.4	0.0		316.7		9.2
5	საკონტაქტო დეტალი, სდ-1	კ-5	42				0.0	0.0	0.0		714.0		14.3
6	საკონტაქტო დეტალი, სდ-2	კ-5	121				0.0	0.0	0.0	278.3			6.1
7	საკონტაქტო დეტალი, სდ-3	კ-5	80				0.0	0.0	0.0	304.0			6.4
8	საკონტაქტო დეტალი, სდ	კ-19	1				0.0	0.0	0.0			256.0	5.1
	ჯამი						40.5	155.4	24.8	582.3	1030.7	256.0	41.1
მასალის ხარჯის ჯამური ამოკრეფა		ხე მასალა V=25.2 მ3 არმატურის საერთო ხარჯი G=196.0 კგ.; ბეტონი B25, V=25.0 მ3. სულ ლურსმანი და თვითჩამხრახნი =591.0 კგ; ჰანჭიკი M10 =45.0 კგ.;								ფოლადის საერთო ხარჯი =1910.1 კგ.;			

პროექტის სახელწოდება			
სს „პროკრედიტბანკის“ სასაწყობე (საარძივო) ფართის პროექტი			
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
მთ. არქიტექტორი	ნ. ბერიძე		
მთ. კონსტრუქტორი	ბ. სურგულაძე		
შესრულა	ლ.კვირიკაშვილი		
შეამოწმა	ბ. სურგულაძე		
მასშტაბი	სხვადასხვა	ჯამური სპეციფიკაცია	
თარიღი			
სტადია		ფურცელი	ფურცლები
პროექტი		კ-1ა	13

რკბ. საძირკვლის გეგმა,



პროექტის სახელწოდება			
სს „პროკრედიტბანკის“ სასაწყობე (საარძივო) შართის პროექტი			
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
მთ. არქიტექტორი	ნ. ბერიძე		
მთ. კონსტრუქტორი	ბ. სურგულაძე		
შესრულა	ლ.კვირიკაშვილი		
შეამოწმა	ბ. სურგულაძე		
მასშტაბი	სხვადასხვა	რკბ. საძირკვლის გეგმა,	
თარიღი			
სტადია		ფურცელი	ფურცლები
პროექტი		კ -2	13

ხის იატაკის და ხის სვეტების განლაგების გეგმა
+0.00 ნიშნულზე



შენიშვნა: 1. მოცემული ნახაზი განიხილეთ კ-2 და არქიტექტურულ ნახაზებთან ერთად.

პროექტის სახელწოდება			
სს „პროკრედიტბანკის“ სასაწყობე (საარძივო) შართის პროექტი			
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
მთ. არქიტექტორი	ნ. ბერიძე		
მთ. კონსტრუქტორი	ბ. სურგულაძე		
შეასრულა	ლ.ყურიკაშვილი		
შეამოწმა	ბ. სურგულაძე		
მასშტაბი	სხვადასხვა	ხის იატაკის და ხის სვეტების განლაგების გეგმა +0.00 ნიშნულზე	
თარიღი			
სტადია		ფურცელი	ფურცლები
პროექტი		კ -3	13

ამოღებულია სატენდერო დოკუმენტაციიდან	

სს „ენერგოსისტემა ნასაყიდი ელექტროსადგური“
(სანაშენიე) შპალის ელემენტის ტიპები

თანამშრომლის	ხელმოწერა	ფამილია, ინიციალები	ელ. ფოსტა
მთ. ინჟინერი	ნ. ჯანიძე		
ტექნიკური ხელმძღვანელი	ლ.ბერიძე-ჯაფარიძე		
მშენებლობის ხელმძღვანელი	ნ. ხუციშვილი		
მთავარი ინჟინერი	ნ. ხუციშვილი		
მთავარი ტექნოლოგი	ნ. ხუციშვილი		

ნახაზის დასახელება			
ფს-1, კვეთი 1-1, 1ა-1ა, 2-2, 3-3, 4-4			
სტადია	ფურცელი	ფურცლების რაოდენობა	
	3 -4	13	

ფს-1; კვეთი 1-1

ფს-1; კვეთი 1ა-1ა

ფს-1; კვეთი 2-2

ფს-1; კვეთი 3-3



ფს-1; კვეთი 4-4



ფს-1; ძირითადი ხაზოვანი ელემენტების ტიპების ცხრილი

ელემენტის	ტიპი	ნახაზის ნომერი	შენიშვნა
ბალასტის ქვეშა ფენა	ბ. ხუციშვილი	2-2, 3-3, 4-4	
ბალასტის ქვეშა ფენა	ბ. ხუციშვილი	1ა-1ა	
ბალასტის ქვეშა ფენა	ბ. ხუციშვილი	1-1	
ბალასტის ქვეშა ფენა	ბ. ხუციშვილი	4-4	

ფს-1; ძირითადი ხაზოვანი ელემენტების სპეციფიკაცია

ელემენტის	ნახაზის ნომერი	პოზიცია	დასახელება	რაოდენობა
ბალასტის ქვეშა ფენა	1-1	1	ბეტონი B25 F200 W8	0.5 მ³
		2	არმატურა A500C	0.1 ტ
	1ა-1ა	1	ბეტონი B25 F200 W8	0.5 მ³
		2	არმატურა A500C	0.1 ტ
	2-2, 3-3, 4-4	1	ბეტონი B25 F200 W8	0.5 მ³
		2	არმატურა A500C	0.1 ტ

